ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1947012

ნომერი: AR1313763

თარიღი : 28.05.2015

გაცემის თარიღი : 10.06.2015

გაცნობის თარიღი : 10.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 მაისის №1896674 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 28 მაისის

AR1313763 განცხადებით მომართეს ვლადიმერ აბრამიშვილმა და ზურაბ ზატუაშვილმა და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2015 წლის 27 მაისის №1896674 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2015 წლის 27 მაისის №1896674 ბრძანებით, ცვლილება შევიდა ქალაქი თბილისი , ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის სამსახურის 15.07.2013 წ. #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებში.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, 2015 წლის 27 მაისის №1896674 ბრძანების ტექსტში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ კი, აღნიშნული ბრძანების თანახმად, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 15.07.2013 წ. #773090 გადაწყვეტილებით, #01.14.16.015.206 (3000 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები გაიცა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად.

შესაბამისად, დღესდღეობით განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის“ ნაცვლად „სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრის“ დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნა შეადარა სამსახურის 15.07.2013 წ. #773090 გადაწყვეტილებას დაადგინა, რომ აღნიშნული ბრძანებით #01.14.16.015.206 (3000 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები გაიცა სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრის მშენებლობის მიზნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
